ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4020583

ნომერი: AR1607141

თარიღი : 08.06.2018

გაცემის თარიღი : 18.06.2018

გაცნობის თარიღი : 18.06.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი I და II მ/რ-ებს შორის (ნაკვეთი N16/44));

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა სადუნიშვილი პ/ნ 24001003167
- თბილისი ც.დადიანის ქ. N 34 კორ. 18 ბ. 33

ორგანიზაცია:

- შპს ასტრა კოდი: 405217402

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

დეტალურად და გარკვევით ასახეთ ინფორმაცია დაგეგმილ სამსაოებთან დაკავშირებით.

მოგახსენებთ საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ 24-ე და 25-ე მუხლების თანახმად "საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასათაურო წარწერის, პლაკატის, აბრის, აფიშის, რეკლამის, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტი სახელმწიფო ენაზე სრულდება. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია შეიძლება მიეთითოს არასახელმწიფო ენაზეც. ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ოფიციალური სახელწოდების სახელმწიფო და არასახელწიფო ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე ესრულებული ტექსტი-შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით). არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტის სახელმწიფო ენაზე შესრულებულ ტექსტთან ერთად გამოყენებისას არასახელმწიფოენოვანი ტექსტის შრიფტი სახელმწიფოენოვანი ტექსტის შრიფტზე დიდი არ უნდა იყოს"

წარმოსადგენია საკადასტრო გეგმა სარეკონსტრუქციო არეალის დატანით.

წარმოსადგენია სარეკონსტრუქციო ფართის მესაკუთრის თანხმობა, მიმდინარე განცხადებით შესათანახმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. (თქვენს შემთხვევაში წარმოდგენილია 25.12.2017 წლის თანხმობა ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობასთან დაკავშირებით), ამასთან ვინაიდან ამონაწერის მიხედვით გარკვეული ფართები გაცემულია იჯარით და იმ შემთხვევაში თუ განსახორციელებელი სამუშაოებით ეხებით სარგებლობით გაცემულ ფართებს წარმოდგენილ იქნეს მოსარგებლეების მიერ გაცემული თანხმობები განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე ან უფლებამოსილი პირები დარეგისტრირდნენ თანაგანმცხადებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ინფორმაცია განიმარტოს მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში და დოკუმენტაციაზე ასახეთ აღნისნული ფართები.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.